მედიის განვითარების ფონდის ყოველკვირეული გამოცემა

# ბიულეტენი №6

13. 05 –19.05.2013




მონიტორინგი

## მონიტორინგის ძირითადი მიგნებები

13-19 მაისის პერიოდში მედიაში მთავარი თემა 17 მაისს დაგეგმილი ჰომოფობიისა და ტრანსფობიის წინააღმდეგ ბრძოლის დღის აღსანიშნავად დაგეგმილი აქციის სამზადისი და თავად აქციის ძალადობრივი გზით დარბევა იყო. მედიის განვითარების ფონდმა სპეციალური გამოშვება დაუთმო 16-18 მაისის ჩათვლით განვითარებული მოვლენების მედიაში გაშუქებას (იხ. ბიულეტენი #3). წინამდებარე ბიულეტენი არ შეიცავს დეტალურ ანგარიშს აღნიშნულ პერიოდთან დაკავშირებით. ქვემოთ წარმოდგენილია მხოლოდ ის ტენდენციები, რომელიც საანგარიშო პერიოდში, მათ შორის 13-18 მაისს გამოვლინდა.

*გაგრძელება გვ. 2*

## ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაცია

**ობიექტივი, 13 მაისი**

„ღამის სტუდიის" სტუმრები პატრიოტთა ალიანსის ლიდერი დავით თარხან-მოურავი და „ობიექტივის" დამფუძნებელი ირმა ინაშვილი ქსენოფობიურ განცხადებებს აკეთებენ და ანტიჩინურ განწყობებს აღვივებენ. დავით თარხან-მოურავი უმცირესობებთან მიმართებით სომხეთის პოლიტიკას საქართველოსთვის სამაგალითოდ მიიჩნევს.

დავით თარხან-მოურავი, პატრიოტთა ალიანსი: *„არც ჩინელების შესვლაა იქ, არც ინდოელების, არც ტერიტორიების გახლეჩვა ხდება იქ, არც ქართულ ენას ღებულობენ რეგიონალური ენის სტატუსად, არც მეჩეთები შენდება, არც ავღანეთში არიან… კარგი იქნება, თუ ჩვენი ძმები სომხებისგან ავიღებთ მაგალითს."*

ირმა ინაშვილი, ობიექტივის დამფუძნებელი: *„ჩვენთან იმ ჩინურ მაღაზიაში ყველა შედის და ყველა ქართველი ყიდულობს იმ პროდუქციას. სომხეთში, ერევანში არ შედიან ხომ, რამდენადაც მე ვიცი?.. ვერ მოიკიდეს ფეხი პრაქტიკულად."*

*გაგრძელება გვ. 3*

ბიულეტენის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. ბიულეტენის შინაარსზე პასუხისმგებელია MDF და ის შესაძლოა, არ ასახავდეს USAID-ის და აშშ-ის მთავრობის შეხედულებებს.

მთავარი თემები


| | |
|---|---|
| ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაცია | 1-3 |
| ქონებრივი დავები | 4 |
| რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია | 5 |
| სექსუალური უმცირესობები | 7 |
| გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია | 12 |

## მონიტორინგის ძირითადი მიგნებები

- ადგილი ჰქონდა ტერმინოლოგიურ უზუსტობას, როდესაც ლგბტ უფლებადამცველთა აქცია სექსუალურ უმცირესობათა შეკრებად, გეი აღლუმად იყო მოხსენიებული;

- ჟურნალისტთა მხრიდან გაუმართლებელ განზოგადებასა და არასწორი ფაქტების გავრცელებას ჰქონდა ადგილი (იმედი, "ქრონიკა"), თითქოს სასულიერო პირები, მართლმადიდებელი მრევლი და არასამთავრობოები ყოველწლიურად ერთიანდებიან ჰომოფობიის წინააღმდეგ ბრძოლის დღეს და ძალადობა ლგბტ უფლებადამცველთა მიმართ კანონზომიერებაა;

- ჟურნალისტთა მხრიდან ადგილი ჰქონდა არაზუსტი ინფორმაციის გავრცელებას პოლიციის მიერ ცრემლსადენი გაზის გამოყენების შესახებ (მე-9 არხი, "ახალი 9"), ასევე ბათუმში, გასულ წელს გეი-აღლუმის სამზადისის შესახებ (იმედი, "ქრონიკა");

- რესპონდენტთა მხრიდან ჰომოსექსუალობის ავადმყოფობად მოხსენიებას რეაგირება არ მოჰყოლია ჟურნალისტთა მხრიდან (პოზიცია - რუსთავი2, ღია ეთერი - იმედი, "ქრონიკა"-იმედი, ობიექტივი), ხოლო გარკვეულ შემთხვევებში, მსგავსს მოსაზრებათა ტირაჟირებას თავად ჟურნალისტები ახდენდნე (ობიექტივი);

- ზოგიერთ გამოშვებაში შესაძლებელი იყო იმ ადამიანთა იდენტიფიცირება, ვინც კონტრაქციის მონაწილეთა ძალადობის სამიზნე იყო (რუსთავი 2, "კურიერი").

- რესპონდენტთა მხრიდან სიძულვილის ენას გარკვეულ შემთხვევებში წამყვანთა მხრიდან არავითარი რეაგირება არ მოჰყოლია.



სხვა თემებთან მიმართებაში შემდეგ ტენდენციებს ჰქონდა ადგილი:

- ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციას კვლავ წინა ხელისუფლების პოლიტიკის კრიტიკის კონტექსტში ჰქონდა ადგილი (ჩინურ პროდუქციაზე უარის თქმა, სომხურისთვის და აზერბაიჯანული ენებისთვის რეგიონალური ენის სტატუსის მინიჭების დაუშვებლობა, ჩინელების დანაშაულრებრივ ჯგუფად სტერეოტიპიზაცია, პრეზიდენტ სააკაშვილის გვარის დაბოლოების გადაკეთებით, სააკოვად მოხსენიება და მის თითქოსდა არაქართულ წარმომავლობაზე მინიშნება, ასევე აჭარის მოსახლეობის ქრისტიანებად და თურქებად დაყოფა);

- დავა მიწის მესაკუთრეებთან კვლავ ცალმხრივად, ერთი მხარის ემოციურ შეფასებებზე და პოლიტიკურ სპეკულაციებზე დაყრდნობით, ფაქტების გადამოწმებისა და საფუძლიანი შესწავლის გარეშე იყო წარმოჩენილი, რაც უცხოელი ინვესტორების მიმართ ნეგატიური დამოკიდებულებების გაღვივებას უწყობს ხელს (გაზეთი "რეზონანსი");

*გაგრძელება გვ.12*

## ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაცია

დასაწყისი გვ 1.

ორთავე რესპონდენტი ამკვიდრებს აზრს, რომ ფსევდო პატრიოტული მოსაზრებით შესაძლოა, პროდუქციაზე მისი ეთნიკური წარმომავლობის საფუძველზე თქვა უარი, რაც თარხან-მოურავის მტკიცებით, სომხეთში ჩინური მაღაზიების დახურვის საფუძველი გახდა.

ამავე გადაცემაში პატრიოტთა ალიანსის ლიდერი ამტკიცებს, რომ მიუხედავად იმისა, იქნება თუ არა მათი მოძრაობა პარლამენტში, ისევე არ დაუშვებენ რეგიონალური ენების ქარტიის რატიფიცირებას, როგორც ამას მეჩეთის მშენებლობის შემთხვევაში ჰქონდა ადგილი და მაგალითად, პოლიტიკური გაერთიანების მიერ აჭარაში ჩატარებული კვლევა მოჰყავს.

> დავით თარხან-მოურავი: *"ჩვენ კი არ ვლაპარაკობთ, რომ სომხურ ენას არ უნდა მიეცეს სტატუსი… სულერთია პარლამენტში ვიქნებით თუ არ ვიქნებით, ამას არ დავუშვებთ… არ დავუშვებთ, რომ სომხურ ენას, ან აზერბაიჯანულს, ან სხვას მიეცეს ეს სტატუსი."*
> http://obieqtivi.net/tv1.php?id=11903

**,,ასავალ -დასავალი", 13-19 მაისი**

მოძრაობა "ეროვნულების" ერთ-ერთი ლიდერი სანდრო ბრეგაძე, მიგრაციის კანონზე საუბრისას, ჩინელების შესახებ სტერეოტიპებს უსაფუძვლოდ ამკვიდრებს, როდესაც მათ დანაშაულებრივ სინდიკატთან, პროსტიტუციასთან აიგივებს. ამასთანავე რესპონდენტის მხრიდან ფაქტების გაზვიადებას და დაუსაბუთებელ პარალელებს აქვს ადგილი.

> სანდრო ბრაგაძე: *"რამდენიმე დღის წინ საკუთარი თვალით ვნახე, როგორ შემოიყვანეს თბილისში აფრიკელებით გაძეძგილი ავტობუსები. ასევე თბილისში მოქმედებს ჩინური დანაშაულებრივი სინდიკატი, რომელიც პროსტიტუციას ეწევა. დიახ, ბოლო დროს ქალაქში მომრავლებული ჩინური სამასაჟო სალონები რეალურად არის პროსტიტუციის ბუდე!.. ასეთი რამ არცერთ დამპყრობელს არ გაუკეთებია საქართველოსთვის. ეს არის მიზანმიმართული გენოციდი, რომელიც დროზე თუ არ აღვკვეთეთ და ევროპული ქვეყნების მსგავსი საიმიგრაციო კანონი არ მივიღეთ, მომავალი თაობები მოღალატეებად გამოგვაცხადებენ."*
> http://www.asavali.ge/archive/asdas/2013/969/969.pdf

**,,ასავალ -დასავალი", 13-19 მაისი**

ზაზა დავითაიას საავტორო სტატიაში "*საკოვო, ძუძუც არავის მოაჭამო!*" საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის გვარის დაბოლოება შეცვლილი სახით, "სააკოვად" არის წარმოჩენილი, მისი თითქოსდა არაქართველობის მინიშნების მიზნით.

http://www.asavali.ge/archive/asdas/2013/969/969.pdf

**ასავალ -დასავალი", 13-19 მაისი**

სახალხო კრების წარმომადგენელი ელიზბარ ჯავალიძე ანტითურქულ განცხადებებს პოლიტიკური ოპონირების კონტექსტში გამოხატავს.

> ელიზბარ ჯაველიძე: *"ასლან აბაშიძეს, სააკაშვილისგან განსხვავებით, ერთი გოჯი ქართული მიწა არ გაუყიდია! ასლან აბაშიძეს, სააკაშვილისგან განსხვავებით, ერთი თურქიც არ ჩაუსახლებია აჭარაში! სირცხვილია, რომ ასლან აბაშიძე, რომელმაც უამრავი აჭარელი გააქრისტიანა, დღეს სამშობლოდან დევნილია, ხოლო სააკაშვილი, რომელმაც ფულზე გაყიდა მთელი აჭარა და ამ ძირძველი ქართული კუთხის გათურქება ეწადა, დღეს ავლაბრის რეზიდენციაში ნებივრობს!"*



ირმა ინაშვილი, "ობიეტივის" დამფუძნებელი: *"ჩვენთან იმ ჩინურ მაღაზიაში ყველა შედის და ყველა ქართველი ყიდულობს იმ პროდუქციას. სომხეთში, ერევანში არ შედიან ხომ, რამდენადაც მე ვიცი?.. ვერ მოიკიდეს ფეხი პრაქტიკულად."*

## ქონებრივი დავები




[რეზონანსი, 14 მაისი]

გაზეთ "რეზონანსის" ჟურნალისტის მაკა ხარაზიშვილის მიერ მომზადებული სტატია *"საძოვრების კრიზისი საქართველოში"* საქართველოს სხვადასხვა რეგიონში საძოვრების გასხვისებასთან დაკავშირებით მოსახლეობის უკმაყოფილების თემას ეხება. სტატია დაუბალანსებელია და შვიდიდან ექვსი რესპონდენტი ერთ პოზიციას გამოხატავს, არ არის წარმოდგენილი არც უცხოელი ინვესტორების, არც ეკონომიკის სამინისტროს პოზიცია, რომელსაც მიწების განკარგვა ევალება.

სტატიის შესავალში ჟურნალისტი ისე ახდენს განზოგადებას - *"საქართველოში ძროხების გამოსაკვები ბალახი სანთლით საძებნელი გახდა. პირუტყვი თავის სარჩენად ღობე-ყორეს ედება"* - რომ თავად სტატიაში ამგვარი შეფასების დამადასტურებელი ფაქტები არ არის მოყვანილი და განზოგადება მხოლოდ ერთ-ერთი რესპონდენტის მოსაზრებას ეფუძნება. აღსანიშნავია, რომ სტატიის ეს შესავალი სიტყვა-სიტყვით ემთხვევა ციტატას, რომლის ავტორად სტატიაში კონკრეტული პიროვნების ნაცვლად, კრებითად ხობელები არიან მოხსენიებული.



სტატიაში ასევე საუბარია მიწების უკანონო გასხვისებაზე, თუმცა რედაქციას არ მიუღია სათანადო ზომები, რათა გადაემოწმებინა ასეთი შეფასების სამართლებრივი საფუძვლები, რაც ეკონომიკის სამინისტროდან სათანადო დოკუმენტაციის მოპოვების შედეგად იქნებოდა შესაძლებელი. პუბლიკაციაში მხოლოდ უმრავლესობის ლიდერის, დავით საგანელიძის სიტყვებია მოყვანილი, სადაც ის აღნიშნავს, რომ საძოვრები საერთო სარგებლობის კატეგორიას განეკუთვნება და მათი გასხვისება დაუშვებელი იყო. რედაქციას არც საძოვრების სამართლებრივი სტატუსის შესახებ საკანონმდებლო რეგულაციები განუმარტავს და არც ის გადაუმოწმებია ეკონომიკის სამინისტროში, თუ რამდენად განეკუთვნებოდა სადავო მიწები "საერთო სარგებლობის" კატეგორიას. სტატიაში მართალია, მოყვანილია პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის სიტყვები, რომ იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებები სამართლებრივად გამყარებულია, მთავრობა ვერაფერს მოიმოქმედებს, მაგრამ ჟურნალისტს არ უცდია გაერკვია გვაქვს თუ არა აღნიშნულ შემთხვევაში კანონმდებლობის დარღვევასთან საქმე და რამდენად საფუძვლიანია მოსახლეობის პრეტენზიები.

სტატია, რომელიც ძირითადად ცალკეულ მოქალაქეთა ემოციურ შეფასებებს და პოლიტიკოსთა სპეკულაციებს ეფუძნება, მოსახლეობის უკმაყოფილების დაკავშირებას პაკისტანელების, თურქების, ინდოელებისა და ჩინელების მიერ მიწის შეძენასთან ახდენს (კახა კუკავა, თავისუფალი საქართველო, თამაზ კუნჭულია, ექსპერტი).

http://resonancedaily.com/index.php?id_rub=7&id_artc=15543

## რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია

„ასავალ -დასავალი'', 13-19 მაისი

გიორგი გიგაურის საავტორო სტატია "სააკაშვილის გამოსათხოვარი წყევლა" სხვა თემებთან ერთად წინა ხელისუფლების მიერ სამოქალაქო კოდექსში შეტანილ ცვლილებებს ეხება, რომელიც რელიგიურ ორგანიზაციებს საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად რეგისტრაციის უფლებას ანიჭებს. აღნიშნულ ნორმას ჟურნალისტი ქართული ეკლესიის წინააღმდეგ მიმართულ ნაბიჯად წარმოაჩენს და საქართველოში მოქმედ რელიგიურ ორგანიზაციებს დისკრიმინაციულად მწვალებელთა სექტებად მოიხსენიებს.

> გიორგი გიგაური, ჟურნალისტი: *"ეს ხომ სწორედ ის სააკაშვილია, რომელმაც ჯიბის პარლამენტს მიაღებინა კანონი, რომლითაც ფეხქვეშ გათელა ათასწლოვან ქართულ ეკლესიასთან გაფორმებული საკონსტიტუციო კონკორდატი და ჩვენი სამოციქულო ეკლესია მწვალებლურ სექტებთან უფლებრივად გაათანაბრა!"*

გიორგი გიგაური, ჟურნალისტი: *"ეს ხომ სწორედ ის სააკაშვილია, რომელმაც ჯიბის პარლამენტს მიაღებინა კანონი, რომლითაც ფეხქვეშ გათელა ათასწლოვან ქართულ ეკლესიასთან გაფორმებული საკონსტიტუციო კონკორდატი და ჩვენი სამოციქულო ეკლესია მწვალებლურ სექტებთან უფლებრივად გაათანაბრა!"*

## ანტიამერიკული განწყობები

კვირის ქრონიკა, 13-19 მაისი

გაზეთ "კვირის ქრონიკის" ჟურნალისტის ხათუნა ელბაქიძის სტატია *"როგორ გადაიბირეს ამერიკის სპეცსამსურებმა საქართველოს 10 ათასი მოქალაქე"* კონფიდენციალურ წყაროზე დაყრდნობით, ავითარებს კონსპირაციებს ამერიკის სპეცსამხურების გეგმებზე საქართველოში იმის შესახებ, რომ თითქოს ისინი *"ნიჭიერ ქართველ ახალგაზრდებს საქართველოს წინააღმდეგ ამუშავებდნენ, სანაცვლოდ კი მათ უცხოელ სასწავლებლებში სწავლის საშუალებას აძლევდნენ".* ჟურნალისტის მტკიცებით, *"ამერიკელები არჩევდნენ ნიჭიერ, ლიბერალური იდეებით გატაცებულ ახალგაზრდებს. ცხადია, ერთ -ერთი აუცილებელი პირობა ამ ახალგაზრდების ათეისტობა, საკუთარი ქვეყნის ტრადიციებისადმი უპატივცემულობა იყო."*

მთელი სტატია სპეკულაციური ხასიათისაა და ავითარებს აზრს, რომ ამერიკის დაზვერვის სპეციალური სამსახური უცხოეთში სასწავლებლად გასული ახალგაზრდებისგან სექტანტთა მფარველობას და ქართული ტრადიციების უარყოფას ითხოვდა, თავის მხრივ კი "ამერიკელთა აგენტურის" საქართველოში კონტროლი ნაციონალური მოძრაობისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ზოგიერთ წარმომადგენელს ევალებოდა.

> ხათუნა ელბაქიძე, ჟურნალისტი: *"რას ითხოვდნენ მთელი ცხოვრების მანძილზე პატრონობის საფასურად "ცრუ"-ს მეძავიდრეები ლიბერალი ქართველი ახალგაზრდებისგან? პირველ რიგში, ცხადია, ამ ლიბერალური იდეების ქადაგებას. ნუ, ახლა მთლად იეღოველებივით და ფერადი ჟურნალებით იღლიაში ამოჩრილები სახლებში არ დადიოდნენ ეს ადამიანები, მაგრამ გემახსოვრებათ, ამ ადამიანებს იმხანად პრესა-ტელევიზიაზე ხელი მიუწვდებოდათ, თავიანთ ნოვატორულ აზრებსაც უხვად აფრქვევდნენ. ბევრი უმსგავსობის გაპიარება და დანერგვა მოახერხეს იმ დროს. მათი უმთავრესი მიზანი იყო, შეეღწიათ საპატრიარქოში, მოეხდინათ ქართული ეკლესიის დისკრედიტაცია, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის მაღალი ავტორიტეტის გაუფასურება.*

*გაგრძელება გვ. 6*

# რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია

## ანტიამერიკული განწყობები

*დასაწყისი გვ. 5*

> *პარალელურად, მათ ევალებოდათ აგრესიული სექტანტების მფარველობა, მათი დახმარებით თუ პირიქით, მათ ზურგს უკან ამოფარებულებს, ქართული წმიდათაწმიდა ტრადიციების ხელყოფა, აჭარაში რელიგიური შუღლის ჩამოგდება მუსლიმან და ქრისტიან ქართველებს შორის, შეჭირვებული მოსახლეობის 30 ვერცხლს დახარბება, ჭეშმარიტი სარწმუნოების უარყოფა და იეღოველთა ანდა, სხვა, არანაკლებ ცოდვილი სექტის "სარწმუნოების" მიღება. "*

თავისთავად მთელი სტატია აბსურდულია და ის ყოველგვარი ჟურნალისტური სტანდარტების დარღვევით არის მომზადებული. ამასთანავე ჟურნალისტი თავად ახდენს რელიგიურ უმცირესობათა დისკრიმინაციას, როცა იეჰოვას მოწმეებს "ცოდვილ სექტად" მოიხსენიებს. სტატიაში ამერიკის, როგორც სამოქალაქო დაპირისპირების პროვოკატორის და უფრო მეტიც, უკვე მომხდარი დაპირისპირებების ინსპირატორად წარმოჩენა ხდება. ავტორი არ აზუსტებს იმას, თუ რომელ ისტორიულ ფაქტს მიიჩნევს, ამერიკის მიერ ინსპირირებულ სამოქალაქო დაპირსიპირებად:

> **ხათუნა ელბაქიძე, ჟურნალისტი:** *"ამერიკის ხელისუფლებას, საკუთარი ქვეყნის ინტერესებისთვის თუ დასჭირდა, არც სამოქალაქო დაპირისპირების პროვოცირებას მოერიდება საქართველოში. ჯერ არ უქნიათ, თუ რა?"*

"კვირის ქრონიკაში" გამოქვეყნებული ხათუნა ელბაქიძის სტატიის სრული ვერსიის ხილვა შესაძლებელია ინტერნეტ-პორტალ "საქართველო და მსოფლიოს" ვებ-გვერდზე: http://www.geworld.ge/ViewGE.php?G=3588&Title=rogor-gadaibires-amerikis-specsamsaxurebma-saqarTvelos-aTi-aTasobiT-moqalaqe&lang=ge

### კვირის ქრონიკა, 13-19 მაისი

კვირის ქრონიკაში რეკლამის სახით გამოქვეყნებული ინტერვიუ პროფესორ ასლან აბაშიძესთან, მართალია, არ წარმოადგენს სარედაქციო სტატიას, მაგრამ მასში რესპონდენტი მნიშვნელოვან შეფასებებს აკეთებს ბათუმში მეჩეთის მშენებლობასთან მიმართებაში სეკულარული სახელმწიფოს არსზე, მორწმუნეთა უფლებაზე, თავად გადაწყვიტონ, სად და როდის ააშენონ სალოცავი და პოლიტიკოსთა მხრიდან სიტუაციის ხელოვნურ დაძაბვაზე, რამაც შესაძლოა, საფრთხე შეუქმნას სახელმწიფოს.

რესპონდენტის პოზიცია სეკულარული სახელმწიფოს არსსა და მორწმუნეთა უფლებრივ თანასწორობაზე პოზიტიურ გზავნილებს შეიცავს, თუმცა ის სარეკლამო მასალას წარმოადგენს და ამდენად განსხვავებულია გაზეთის სარედაქციო პოლიტიკისგან, რომელიც ძირითადად დისკრიმინაციულია უმცირესობათა სხვადასხვა ჯგუფების მიმართ.

ბიულეტენი №6

**ხათუნა ელბაქიძე:** *"მათ ევალებოდათ აგრესიული სექტანტების მფარველობა... ქართული წმიდათაწმიდა ტრადიციების ხელყოფა, აჭარაში რელიგიური შუღლის ჩამოგდება მუსლიმან და ქრისტიან ქართველებს შორის... და იეღოველთა ანდა, სხვა, არანაკლებ ცოდვილი სექტის "სარწმუნოების" მიღება. "*

## სექსუალური უმცირესობები

სექსუალური უმცირესობების თემა შინაგან საქმეთა სამინისტროში აღმოჩენილ ფარულ ჩანაწერებთან და ძირითადად 17 მაისს ჰომოფობიისა და ტრანსფობიის წინააღმდეგ დაგეგმილ აქციასთან მიმართებით იყო აქტუალური.

ალია, 14 მაისი

გაზეთ "ალიას" ჟურნალისტის თამარ ოქრუაშვილის ინტერვიუ ექსპერტ სოსო ცისკარიშვილთან შინაგან საქმეთა სამინისტროში აღმოჩენილი ფარული ჩანაწერების არქივის განადგურების საკითხს შეეხება. ჟურნალისტისა და რესპონდენტის მხრიდან ირონია არქივში არსებულ ცელკეულ მოქალაქეთა ინტიმური ცხოვრების ამსახველ კადრებზე, მათ შორის მინიშნება ჰომოსექსუალურ სცენებზე, ეთიკურობის ფარგლებს სცილდება. რესპონდენტი მინიშნებას აკეთებს არასამთავრობო ორგანიზაცია "იდენტობაზე", რომელიც საქართველოში ლგბტ პირების უფლებებს იცავს და ავითარებს სპეკულაციას, რომ ამ კადრების ჩვენება შესაძლოა, ორგანიზაციისათვის სიამოვნების მომგვრელიც იყოს. აღსანიშნავია, რომ არა მხოლოდ ადამიანის პირადი ცხოვრების ფარული თვალთვალი და ჩანაწერების გაკეთებაა ადამიანის ღირსების შემლახავი და დამამცირებელი, რაც როგორც "იდენტობამ", ასევე სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებმა საჯაროდ დაგმეს, არამედ ის დამოკიდებულება, რომელსაც ამ შემთხვევაში ჟურნალისტი და რესპონდენტი ერთობლივად ავლენენ.

თამარ ოქრუაშვილი: *"ისე, ჩვენთვის რომ ვთქვათ, რა სანახაობა გადაეშლებათ თვალწინ?"*

სოსო ცისკარიშვილი: *"ზო, ხო! თორემ სასიამოვნო არ იყოს ვინმესთვის რა! (ეცინება) საქმე იქით მიდის, ორგანიზაცია "იდენტურობა" სიამოვნებით ნახავდა ამ კადრებს. შეიძლება მაგათ ისიც მოთხოვონ, ტელევიზიით ატრიალონ ეს კადრები (ეცინება), მაშინ სჯობია, დავწვათ მთლიანად ეს ყველაფერი."*



სოსო ცისკარიშვილი: *"ზო, ხო! თორემ სასიამოვნო არ იყოს ვინმესთვის რა! (ეცინება) საქმე იქით მიდის, ორგანიზაცია "იდენტურობა" სიამოვნებით ნახავდა ამ კადრებს (ფარული ჩანაწერები). შეიძლება მაგათ ისიც მოთხოვონ, ტელევიზიით ატრიალონ ეს კადრები (ეცინება), მაშინ სჯობია, დავწვათ მთლიანად ეს ყველაფერი."*

### 17 მაისის აქციის შესახებ

ჰომოფობიისა და ტრანსფობიის წინააღმდეგ დაგეგმილ აქციასთან დაკავშირებით ბეჭდვით მედიაში ძირითადად ნეგატიური სტატიები გამოქვეყნდა. აღსანიშნავია, რომ "ასავალ-დასავალში" გამოქვეყნებულ 7 მასალაში, რომელიც ზოგად პოლიტიკურ თემებს შეეხება, სექსუალურ უმცირესობათა დისკრიმინაციას და მათ მიმართ სიძულვილის გაღვივებას აქვს ადგილი. ერთადერთი პოზიტიური შეფასება პრემიერ-მინისტრის მიერ უფლებრივ თანასწორობაზე გაკეთებული განცხადება იყო, რომელიც გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნდა.

24 საათი, 15 მაისი

ბიძინა ივანიშვილი: *"როგორც პრემიერი ამბობს, სექსუალურ უმცირესობებს ისეთივე უფლებები აქვთ, როგორიც სხვა მოქალაქეებს და საზოგადოება ამას ნელ-ნელა შეეჩვევა. მან პარალელურად დაგეგმილი, ამ აქციის საწინააღმდეგო გამოსვლის შესახებაც ისაუბრა: "ვიცი, რომ ხალხის ნაწილი ამას ვერ ღებულობს. ამიტომ სახელმწიფოში სამართალდამცავი სტრუქტურები ფუნქციონირებს და ჩვენ ნებისმიერი უმცირესობების უფლებების დასაცავად ყველაფერს გავაკეთებთ. პოლიცია შუაში ჩადგება და ყველა ადამიანის უფლებებს დაიცავს".*

*გაგრძელება გვ. 8*

## სექსუალური უმცირესობები

ალია, 14 მაისი

ჟურნალისტი თამარ ოქრუაშვილი სამების ეკლესიის დეკანოზ მამა ელიზბარ დიაკონიძესთან ინტერვიუში 17 მაისის აქციას გეი აღლუმად მოიხსენიებს, ხოლო თავად რესპონდენტის მხრიდან გაკეთებულ განცხადებაზე, რომელიც ფიზიკური ძალის გამოყენებას არ გამორიცხავს, ჟურნალისტი ძალადობაზე სამართლებრივი რეაგირებაზე საუბრის ნაცვლად, მას აკონკრეტებინებს, თუ რა ფორმით შეიძლება გაუწიონ წინააღმდეგობა აქციის მონაწილეებს.

> თამარ ოქრუაშვილი, ჟურნალისტი: *"თქვენ შეიძლება, ამ ხალხს სახეში გაარტყათ?"*

თავად სასულიერო პირის მხრიდან კი არა მხოლოდ ჰომოფობიურ განცხადებებს და უმცირესობათა დისკრიმინაციას *("მათი ადგილი ჯოჯოხეთშია")*, არამედ ძალადობის წახალისებას აქვს ადგილი.

> ელიზბარ დიაკონიძე: *"მამათმავლებს არ უნდა მიეკარო, მაგრამ არც უნდა გაატარო! ეს იმას ნიშნავს, რომ ყველანაირი მეთოდით უნდა ვეცადოთ, რომ არანაირი ექსცესი არ მოხდეს, თუმცა მათ თავიანთი საქმე არ უნდა გააკეთონ. მე დავიმოწმებ იოანე ოქროპირის სიტყვებს, როცა ამბობს, როცა შენს უფალს შეურაცხყოფას აყენებენ და გიგინებენ, ყვრილმის ცემაც რომ დაგჭირდეს მაგინებლისა, აღიღე და სცემე ისო. აქ იგულისხმება, რომ უნდა გამოაფხიზლო თუნდაც სახეში ხელის გარტყმით და სწორი გზისკენ უნდა მიუთითო."*

ალია, 17-20 მაისი

ჟურნალისტ შორენა გოგოლაძის მასალაში მართალია, ჰომოფობიის წინააღმდეგ აქციის სამზადისზე თავად აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორის, ორგანიზაცია "იდენტობის" აღმასრულებელი დირექტორის ირაკლი ვაჭარაძის და კონტრ-აქციის ორგანიზატორის მამა ელიზბარ დიაკონიძის პოზიციები არის წარმოდგენილი, თუმცა მასალა დისკრიმინაციულია უმცირესობათა მიმართ. ირაკლი ვაჭარაძე შეკრების სამართლებრივ საფუძვლებზე საუბრობს და აცხადებს, რომ თუ პოლიცია მიზანშეწონილად ჩათვლის, ისინი უსაფრთხოებიდან გამომდინარე, შეკრების ადგილს შეცვლიან. რესპონდენტის ამ პასუხს ჟურნალისტის შეკითხვა მოსდევს, რომელიც ცდილობს საკითხი სამართლებრივი კონტექსტის ნაცვლად, რელიგიური ლიდერის მორალური ავტორიტეტის აზრის გათვალისწინების კუთხით წარმოაჩინოს.

> შორენა გოგოლაძე, ჟურნალისტი: *„მხოლოდ პოლიციას? პატრიარქის მოწოდება არ არის მნიშვნელოვანი თქვენთვის?"*

სტატიის სათაური *„რას აცხადებენ სექსუალური უმცირესობები პატრიარქის მოწოდებაზე"* ჟურნალისტის მხრიდან თეოკრატიულ მიდგომებს ასახავს. ამავე დროს ორგანიზაცია „იდენტობის" წარმომადგენლის კრებითად სექსუალურ უმცირესობებად მოხსენიება გაუმართლებელია, რადგან კონკრეტული პირის სექსუალური ორიენტაცია თვითიდენტიფიცირების სფეროა და ჟურნალისტის მხრიდან ლგბტ უფლებადამცველის კრებითად სექსუალურ უმცირესობებად მოხსენიება არასწორია.

„ასავალ -დასავალი", 13-19 მაისი

ჟურნალისტი ჯაბა ხუბუა ინტერესდება პოეტ რეზო ამაშუკელის პოზიციით 17 მაისს დაგეგმილ აქციასთან დაკავშირებით, რომელთაც ჟურნალისტი სექსუალ უმცირესობათა აქციად და არა ლგბტ უფლებადამცველთა შეკრებად მოიხსენიებს. საპასუხოდ რესპონდენტის მხრიდან სიძულვილის ენას, დისკრიმინაციულ ტერმინოლოგიას და ჰომოფობიურ განცხადებებს აქვს ადგილი.

ბიულეტენი №6



ელიზბარ დიაკონიძე: *"მამათმავლებს არ უნდა მიეკარო, მაგრამ არც უნდა გაატარო!..მე დავიმოწმებ იოანე ოქროპირის სიტყვებს, როცა ამბობს, როცა შენს უფალს შეურაცხყოფას აყენებენ და გიგინებენ, ყვრილმის ცემაც რომ დაგჭირდეს მაგინებლისა, აღიღე და სცემე ისო."*

## სექსუალური უმცირესობები

რეზო ამაშუკელი: *“ვინმე დაესხა თავს ოდესმე და რამეში შეუშალა ხელი? ისემც უქნიათ, გადაუხნავთ ერთმანეთი, მაგრამ ერთი რამ იცოდნენ - საქართველოში პედარასტებისა და კაცის კაცზე გთხოვების ლეგალიზაცია ვერასოდეს მოხდება. პირდაპირ ვაცხადებ - მეზიზღებიან პედარასტები, იმიტომ, რომ ბინძურები და ავადმყოფობის გამავრცელებლები არიან, მაგრამ ამ ყველაფერის მიუხედავად, მაინც მოვუწოდებ საზოგადოებას 17 მაისს სიმშვიდე შეინარჩუნონ და ცემა-ტყეპა არ აუტეხონ ამ პედარასტებს, იმიტომ, რომ მაგათ სწორედ ეს უნდათ, რათა მერე იყვირონ და მილიონიანი გრანტები მიიღონ. “*
http://www.asavali.ge/archive/asdas/2013/969/969.pdf



რეზო ამაშუკელი: *“პირდაპირ ვაცხადებ - მეზიზღებიან პედარასტები, იმიტომ, რომ ბინძურები და ავადმყოფობის გამავრცელებლები არიან“...*

ალია, 14 მაისი

ჟურნალისტ გელა ზედელაშვილის ინტერვიუ ორგანიზაცია “დაიცავი საქართველოს” წარმომადგენელთან კახა მიქაიასთან ძირითადად ქალაქ ფოთში პრეზიდენტ სააკაშვილის სტუმრობას ეხება. თუმცა, ამავდროულად ჟურნალისტს საუბარში 17 მაისს ჰომოფობიის წინააღმდეგ დაგეგმილი აქციის თემა შემოაქვს და სექსუალური უმცირესობების წარმომადგენლებს დისკრიმინაციული ტერმინით “პედერასტებად” მოიხსენიებს (*“კახა, ერთი რა მაგის პასუხია და ... 17 მაისს თბილისში პედერასტები აღლუმს ატარებენ”*). რესპონდენტი თავს არიდებს აღნიშნულ თემაზე საუბარს.

„ასავალ -დასავალი’’, 13-19 მაისი

ჟურნალისტი ზაზა დავითაია დაუსაბუთებელ პარალელებს ავლებს რესტორან “ლა ტრუფში” ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლების მიმართ მიყენებულ ფიზიკურ ძალადობასა და 17 მაისის აქციას შორის, სტატიაში *“ნაცემი ნაცები”*.

ზაზა დავითაია, ჟურნალისტი: *“საქართველო პარადოქსული ქვეყანაა, სადაც არატრადიციული სქესობრივი ორიენტაციის პირთა მანიფესტაციას, თურმე, შეიძლება ევროკავშირის ელჩები შეუერთდნენ და ფარად გადაეფარონ, ხოლო საკუთარი მოქალაქეების მკვლელი, უამრავი დანაშაულის ჩამდენი რეჟიმის წინააღმდეგ ყოფილ პოლიტპატიმართა სამართლიანი პროტესტი ხულიგნობად და კრიმინალად მონათლონ”...*

ასავალ -დასავალი, 13-19 მაისი

17 მაისის აქციას ჟურნალისტი ზაზა დავითაია დიპლომატიურ კორპუსთან დეკანოზ დავით ისაკაძესთან ინტერვიუშიც აკავშირებს. რესპონდენტი ლგბტ უფლებადამცველთა აქციას გეი აღლუმად მოიხსენიებს, სექსუალურ უმცირესობებთან საზოგადოების დაპირისპირებას კი ომად აფასებს, რომელშიც დიპლომატიური კორპუსია ჩართლი და კონფლიქტის გაღვივების გამო მათ საელჩოებთან აქციებითა და პერსონა ნონ-გრატად გამოცხადებით ემუქრება.

ზაზა დავითაია: *“მე მოვისმინე, რომ 17 მაისს ლგბტ პირები აიფარებენ საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის მაღალი რანგის წარმომადგენლებს, რა მოტივით ქომაგობენ ეს წრეები არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის მიმდევრებს?”*

*გაგრძელება გვ. 10*

## სექსუალური უმცირესობები

*მამა დავითი (ისაკაძე): "რატომ გვიქადაგებენ ამ გარყვნილებას საქართველოში სხვადასხვა ევროპული თუ ამერიკული გრანტებით აღჭურვილი ადამიანები? სხვათაშორის ისინი საკმაოდ აგრესიულები არიან. თავიანთ მანიფესტში პირდაპირ უწერიათ, რომ ყველა ოჯახში უნდა შეიჭრან! ანუ ისინი ჰეტეროსექსუალებს აღიქვამენ, როგორც პოტენციურ მტრებს! ფაქტობრივად, ეს არის ბრძოლა, ომი, რომელშიც ჩართული არიან დიპლომატიური წრეებიც.*

*ქართველ საზოგადოებაში უკვე გაჩნდა პოზიცია და მოთხოვნა, რომ ის დიპლომატები, რომლებიც საქართველოში გარყვნილების ქადაგებას და კონფლიქტების გაღვივებას უწყობენ ხელს, გამოცხადდნენ პერსონა ნონ-გრატად, ხოლო სახალხო გამოსვლები მათი საელჩოების წინ გაიმართოს."*

ბიულეტენი №6



მამა დავითი (ისაკაძე): *"ისინი ჰეტეროსექსუალებს აღიქვამენ, როგორც პოტენციურ მტრებს! ფაქტობრივად, ეს არის ბრძოლა, ომი, რომელშიც ჩართული არიან დიპლომატიური წრეებიც."*

**,,ასავალ -დასავალი'', 13-19 მაისი**

მართალია, ჟურნალისტი ჯაბა ხუბუა მოძრაობა "ეროვნულების" ლიდერთან სანდრო ბრეგაძესთან ინტერვიუში თავდაპირველად მართებულად სვამს შეკითხვას იმის თაობაზე, რომ თუ დემოკრატიაზე გვაქვს პრეტენზია, სექსუალური უმცირესობის წარმომადგენლებს შეკრების უფლება არ უნდა შეეზღუდოთ, მაგრამ მოგვიანებით თავადაც იზიარებს რესპონდენტის მოსაზრებას, რომ საკულტო ნაგებობებთან და სასწავლო დაწესებულებების მიმდებარე ტერიტორიაზე ლგბტ აქტივისტებს შეკრების უფლება უნდა შეეზღუდოთ. ხდება მოსაზრების დამკვიდრება, რომ ლგბტ პირთა და მათ უფლებადამცველთა გამოხატვის თავისუფლება სხვა არაფერია, თუ არა "გარყვნილების პროპოგანდა" და რომ ამ ადამიანებს მხოლოდ საზოგადოებაში არსებობის უფლება აქვთ, რაც დისკრიმინაციული მიდგომაა.

*სანდრო ბრეგაძე: "ყველანაირი ორიენტაციის ადამიანს აქვს საზოგადოებაში არსებობის უფლება, მაგრამ არავის აქვს უფლება, გარყვნილების პროპაგანდა აწარმოოს.*

*...ჩვენთან ლესბოსელების, გეების, ბისექსუალებისა და ტრანსსექსუალების აქცია ქაშუეთის ეკლესიის წინ რატომ უნდა ჩატარდეს?! თუკი ასეთი აქციის ჩატარება აუცილებელია, წავიდნენ და გარეუბნებში ჩაატრონ, ისეთ ადგილას შეიკრიბონ, რომელიც დაცილებული იქნება წმინდა ადგილისგან."*

ამავე ინტერვიუში რესპონდენტი დაუსაბუთებლად აკავშირებს 17 მაისის აქციას ნაციონალურ მოძრაობასთან და ვანო მერაბიშვილთან და აკეთებს განცხადებებს შესაძლო სისხლისღვრის შესახებ:

*სანდრო ბრეგაძე: "ეს არ იქნება არანაირი მშვიდობიანი აქცია, ეს გახლავთ წინასწარ დაგეგმილი პროვოკაცია. ზუსტად ვიცი, რომ ძალიან ბევრი ქართველი ახალგაზრდა აპირებს გასვლას რუსთველის გამზირზე, რათა არ დაუშვან 17 მაისის ე.წ. ლგბტ აქცია. ეს თავისთავად გამოიწვევს შეხლა-შემოხლას, რომელიც, შესაძლოა, მწვავე ფორმებში გადაიზარდოს და მსხვერპლიც კი მოჰყვეს."*

**,,ასავალ -დასავალი'', 13-19 05. 13**

დისკრიმინაციულია ასავალ-დასავალში გამოქვეყნებული საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის შეფასებები 17 მაისის აქციასთან მიმართებით.

## სექსუალური უმცირესობები

**ედუარდ შევარდნაძე:** *"გეია, თუ რაღაც ჯანდაბაა, გასაგებია, რომ მსოფლიოში მათ მიმართ დამოკიდებულება შეიცვალა, მაგრამ ეს საქართველოა და მე, როგორც რიგით ქართველს, არ მინდა რუსთაველზე მათი აღლუმი ვნახო! რა უბედურებაა ვეღარ გაგვირჩევია, კაცია თუ ქალი. გეი - აღლუმები საქართველოში ვერ გაიმართება."*

ასავალ -დასავალი, 13-19 მაისი

ლგბტ პირთა და მათ უფლებადამცველთა გამოხატვის თავისუფლების აღვირახსნილობის პროპაგანდასთან გაიგივებას ახდენს მსახიობი გია ბურჯანაძე გიორგი გიგაურთან ინტერვიუში, რომელიც ამავდროულად ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდის კანონმდებლობით აკრძალვას ითხოვს.

**გია ბურჯანაძე:** *"მე როგორც მოქალაქემ, შემიძლია, ავიტანო ჩემს სამშობლოში ჰომოსექსუალების არსებობა, იყვნენ თავისთვის, მაგრამ არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის აღვირახსნილი პროპაგანდა ჩემთვის დაუშვებელია! მეტსაც გეტყვით: ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდა საქართველოში კანონით უნდა აიკრძალოს!"*

რესპონდენტი სექსუალურ უმცირესობებს საქართველოსთვის, როგორც მცირე ერისთვის კატასტროფასთან აიგივებს.

**გია ბურჯანაძე:** *"ეს ლგბტ მოძრაობები ჩინეთისთვის, ბრაზილიისთვის, ამერიკისა თუ რუსეთისთვის არ არის პრობლემა, მაგრამ ჩვენნაირი მცირერიცხოვანი ერისთვის ამის პროპაგანდა არის კატასტროფული. საქართველოსთვის, რომელიც დემოგრაფიული კატასტროფის წინაშე დგას, ჰომოსექსუალიზმის გავრცელება დაღუპვას ნიშნავს!"*

ასავალ -დასავალი, 13-19 მაისი

სახალხო კრების ერთ-ერთი ლიდერი ელიზბარ ჯაველიძე სექსუალური უმცირესობის წარმომადგენლებს შეურაცხმყოფელი ტერმინით "პედერასტებად" მოიხსენიებს და 17 მაისის აქციის წინააღმდეგ გამოსვლას მართლმადიდებლობისა და სამშობლოს დაცვასთან აიგივებს. რედაქციას სათაურში გამოქვს ელიზბარ ჯაველიძის სიტყვები *"მოვუწოდებ ქართველობას, 17 მაისს პარლამენტის წინ შევიკრიბოთ და დავიცვათ ჩვენი სამშობლო პედარასტების თარეშისგან!"*, რითაც გარკვეულწილად იზიარებს რესპონდენტის პოზიციას.

**ელიზბარ ჯაველიძე:** *"ეგენი ჰომოფობიის წინააღმდეგ კი არა, ქართველობისა და მართლმადიდებლური ტრადიციების წინააღმდეგ აწყობენ აქციას!*

*...როგორც კი ამ პედარასტებსა და ლესბოსელებს თავს დავუხრით და ამ ვითომ ცივილიზებულობას მივეძალებით, ესენი მაშინვე თავზე წამოგვასხდებიან და აქეთ დაგვიწყენებ თავიანთი პირობების წამოყენებას! პედარასტი არის სოდომური ცოდვა! მორჩა და გათავდა! ნურავინ მომთხოვს მათ სიყვარულს! მე მიყვარს ქართველი კაცი და ქართველი ქალი-ვისაც აქვს ზნეობა, ღირსება და უფლის რწმენა."*

http://www.asavali.ge/archive/asdas/2013/969/969.pdf



**გია ბურჯანაძე:** *"...მაგრამ არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის აღვირახსნილი პროპაგანდა ჩემთვის დაუშვებელია! მეტსაც გეტყვით: ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდა საქართველოში კანონით უნდა აიკრძალოს!"*

მედიის განვითარების ფონდი

ალ.ჭავჭავაძის №54,
მე-5 სად. მე-4 სართული.
ქ.თბილისი, საქართველო,
0179

ტელ/ფაქსი: (+99532) 2 22 00 16

ელ.ფოსტა: info@mdfgeorgia.ge
mdfgeo@gmail.com

WWW.MDFGEORGIA.GE

## გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია

ალია, 14 მაისი

რესტორან "ლა ტრუფში" მომხდარ ინციდენტზე საუბრისას, რომლის დროსაც ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელმა დეპუტატებმა ფიზიკური დაზიანებები მიიღეს, უფლებადამცველ გელა ნიკოლაიშვილის მხრიდან გენდერული ნიშნით დისკრიმინაციას აქვს ადგილი.

> გელა ნიკოლაიშვილი: *"დავიჯერო, ვაშაძე, საყვარელიძე და გოროზია ისე "დაჩმორდნენ", რომ ქალებს აცემინეს თავი?"*

### მონიტორინგის ძირითადი მიგნებები

*დასაწყისი გვ. 1-2*

- რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციას ჟურნალისტების ("კვირის ქრონიკა", "ასავალ-დასავალი") მხრიდან ჰქონდა ადგილი, როდესაც რელიგიურ ორგანიზაციათა "მწვალებელ სექტად" და "ცოდვილთა სექტად" მოხსენიება მოხდა. ანტიამერიკული განწყობების გაღვივება კი ჟურნალისტური სპეკულაციებისა და აბსურდული მოსაზრებების საფუძველზე, ამერიკელთა სექტანტთა მფარველად და სამოქალაქო დაპირისპირებების ინსპირატორად წარმოჩენის გზით ხდება ("კვირის ქრონიკა");

- "კვირის ქრონიკაში" გამოქვეყნებული ერთადერთი პოზიტიური შეფასებები სეკულარული სახელმწიფოს არსსა და მორწმუნეთა უფლებრივ თანასწორობაზე ფასიანი რეკლამის სახით არის გამოქვეყნებული.

- საანგარიშო პერიოდში დომინანტური სექსუალური ორიენტაციის ნიშნით დისკრიმინაცია არა მხოლოდ 17 მაისის აქციის გამო იყო, არამედ შინაგან საქმეთა სამინისტროში აღმოჩენილ ფარულ ჩანაწერებთან დაკავშირებით. აღნიშნულ ჩანაწერებში ცალკეულ მოქალაქეთა ინტიმური ცხოვრების ამსახველი, მათ შორის ჰომოსექსუალური კადრების არსებობის გამო, როგორც მედიის (გაზეთი "ალია"), ასევე რესპონდენტის (სოსო ცისკარიშვილი) მხრიდან არაეთიკურ და ღირსებისშემლახავ სპეკულაციებს ჰქონდა ადგილი.

- 17 მაისის აქციის ნეგატიურ კონტექსტში წარმოჩენის მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდა "ასავალ-დასავალი" (13-19 მაისი). გაზეთში გამოქვეყნებულ 7 მასალაში, რომელიც ზოგად პოლიტიკურ თემებს შეეხებოდაა, სექსუალურ უმცირესობათა დისკრიმინაციას და მათ მიმართ სიძულვილის გაღვივებას ჰქონდა ადგილი. სახეზე იყო ჟურნალისტის მხრიდან საკითხის სამართლებრივი კონტექსტის ნაცვლად, რელიგიური ლიდერის მორალური ავტორიტეტის აზრის გათვალისწინების კუთხით წარმოჩენის მცდელობაც (გაზეთი „ალია").

- ერთადერთი პოზიტიური შეფასება 17 მაისის აქციასთან მიმართებით პრემიერ-მინისტრის მიერ უფლებრივ თანსწორობაზე გაკეთებული განცხადება იყო (გაზეთი "24 საათი").